

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

__14__ . __11__ . 2014 წელი

2 ეგზ.

შპს „ბათუმის N1 პოლიკლინიკა“

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 24/105

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი



ს ა რ ჭ ე ვ ი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი აქტივები და სხვა სასაქონლო - მატერიალური ფასეულობები	4
ერთობლივი შემოსავალი	5
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	6
დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.....	6
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ	7
შრომის ანაზღაურება.....	7
სახელმწიფო შესყიდვები.....	10
იჯარით სარგებლობაში გაცემა	11
იჯარით სარგებლობაში მიღება.....	12
ინვენტარიზაცია	12
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	12
შემოსავლები	12
ხარჯები	13
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	14
ფინანსური ანგარიშგების ფორმები	15



დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

შპს „ბათუმის N1 პოლიკლინიკის“ ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა შპს „ბათუმის N1 პოლიკლინიკის“ ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს შპს „ბათუმის N1 პოლიკლინიკის“ (შემდგომ - „პოლიკლინიკა“) ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში შემოსავლების სახეობების მიხედვით, ანგარიში ხარჯების სახეობების მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში მოგების მიღებისა და დივიდენდის განაწილების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

პოლიკლინიკის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული



სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი აქტივები და სხვა სასაქონლო - მატერიალური ფასეულობები

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული. აგრეთვე, 2011 - 2012 წლებში არ არის განხორციელებული ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია¹. ჩვენ ალტერნატიული პროცედურების საშუალებით ვცადეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდის საწყისი ნაშთები არ შეიცავს ისეთ უზუსტობებს,

¹ დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-13 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები



რომლებიც არსებით გავლენას მოახდენდა 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. პოლიკლინიკის სარგებლობაში არსებული ძირითადი აქტივების და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შერჩევითი დათვალიერების შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი სხვაობები. კერძოდ,

პოლიკლინიკა ძირითად საქმიანობას ახორციელებს ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერისძის ქ. N2-ში განთავსებულ შენობის პირველ და მეორე სართულზე. მეორე სართულის 260 კვ. მ² არ ირიცხება პოლიკლინიკის ბალანსზე, იმყოფება შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მფლობელობაში და აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი სარგებლობის უფლების დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი. იდენტური მდგომარეობაა კახაბრის და გონიოს ამბულატორიების შემთხვევაშიც. მოპოვებული მტკიცებულებებით, პოლიკლინიკის კახაბრის ამბულატორია სარგებლობს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში³ არსებულ 292 კვ. მ⁴ არასაცხოვრებელ ფართს, ხოლო გონიოს ამბულატორია - სახელმწიფო საკუთრებაში⁵ არსებულ 175 კვ. მ⁶ არასაცხოვრებელ ფართს.

პოლიკლინიკა ასევე სარგებლობს კახაბრის ამბულატორიაში განთავსებულ 22 დასახელების 167 ერთეულ და გონიოს ამბულატორიაში განთავსებულ 21 დასახელების 59 ერთეულ ძირითად საშუალებას და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობას, რომლის მესაკუთრე ვერ დგინდება. კერძოდ, აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაცია. ქონება არ იმყოფება პოლიკლინიკის ბალანსზე და გამოყენებულია პოლიკლინიკის ეკონომიკურ საქმიანობაში. ქონების ძირითადი ნაწილი საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 34-ე მუხლის თანახმად, ექვემდებარება პოლიკლინიკის ძირითად საშუალებებად აღრიცხვას.

ერთობლივი შემოსავალი

როგორც ზემოთ აღინიშნა, პოლიკლინიკა უსასყიდლოდ სარგებლობს სახელმწიფოს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის და შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ საკუთრებაში არსებულ უძრავ და მოძრავ ქონებას.

² ფართობი არ არის დაზუსტებული

³ მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.32.01.628

⁴ ფართობი არ არის დაზუსტებული

⁵ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი

⁶ ფართობი არ არის დაზუსტებული



გარდა ამისა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილია პოლიკლინიკის კახაბერის და გონიოს ამბულატორიების მოხმარებული ელექტრონერგიის და სხვა კომუნალური გადასახდელები. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქონლის/ მომსახურების მიწოდებისას ერთობლივ შემოსავალში ასახვას ექვემდებარება ამ საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასი, რაც პოლიკლინიკის მიერ არ განხორციელებულა.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის ან შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ბათუმის N1 პოლიკლინიკის“ ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე პოლიკლინიკის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, პოლიკლინიკის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა,



აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა პოლიკლინიკის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

შრომის ანაზღაურება

პოლიკლინიკაში 2012 წლის განმავლობაში დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 203 პირი, მათ შორის 12 ადმინისტრაციული პერსონალი. სულ დარიცხულმა ხელფასმა შეადგინა 728 516.2 ლარი (საოპერაციო შემოსავლების 81.8%).

კომპანიაში დასაქმებულთა ხელფასი ყოველთვიურად არ არის იდენტური, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა. გარდა დადგენილი/ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფიქსირებული ხელფასისა, დასაქმებულს ხელფასი ეძლევა შესრულებული სამედიცინო მომსახურების, კომპანიის მიერ შიდა სტანდარტით და ტენდერებში მონაწილეობით მიღებული შემოსავლებისა და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებული შრომითი ხელშეკრულებების უმრავლესობა დასაქმებულებთან გაფორმებულია 2011 წელს სამი თვის ვადით. ვადის გასვლის შემდეგ, არაბეჭდური სახით ივსება შემუშავებული ფორმა „კონტრაქტის განახლება ახალი ვადით“, რომლის დროში ავტენტურობა რისკის შემცველია. რიგ შემთხვევებში, ზემოაღნიშნულ სტანდარტულ ფორმაში არაბეჭდური სახით მიწერილია ხელფასის გაანგარიშების ძირითადი ხელშეკრულებისაგან განსხვავებული ან/და ახალი წესი, რომლის შინაარსის იდენტიფიცირება რთულია.

ხელფასის ხარჯების ანალიზი გვიჩვენებს სამედიცინო პერსონალისა და ადმინისტრაციის ხელფასს შორის მკვეთრ განსხვავებებს. მაგ. პოლიკლინიკის დირექტორის 2012 წლის ხელფასმა შეადგინა 40 603 ლარი, ხოლო ექიმის მაქსიმალური წლიური ხელფასი არ აღემატება 14 276 ლარს.

პოლიკლინიკის დირექტორის ხელფასიდან პარტნიორის მიერ დანიშნული ხელფასი შეადგენს 13 143 ლარს (თვეში 1 200 ლარი), სოციალური სამედიცინო



ექსპერტიზისა და საექიმო-საკონსულტაციო კომისიის საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან - 15 844 ლარი, სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან“ მიზნობრივი პროგრამის - „მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა“- ფარგლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებიდან - 3 960 ლარი (თვეში 660 ლარი, 6 თვე), საშვებულებო თანხა - 3 116 ლარი და შიდა სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან ხელფასი - 4 540 ლარი.

სოციალური სამედიცინო ექსპერტიზისა და საექიმო-საკონსულტაციო კომისიის საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან დირექტორის ხელფასი თვეების მიხედვით ცვალებადია და დამოკიდებულია პოლიკლინიკის მიერ შესაბამისი სამედიცინო პროცედურის შესრულების რაოდენობასთან. პროცედურების ტარიფის კალკულაციაში, პარტნიორთან შეთანხმების გარეშე, გათვალისწინებულია დირექტორის/ დაწესებულების ხელმძღვანელის ხელფასი. მაგ. დასასაქმებელთა და დასაქმებულთა სამედიცინო შემოწმების ტარიფის კალკულაციაში, დირექტორის ხელფასი ერთ პროცედურაზე შეადგენს 3.2 ლარს მაშინ, როდესაც ის არ მონაწილეობს სამედიცინო შემოწმების პროცესში, ხოლო უშუალოდ პროცედურაში მონაწილე ექიმ-სპეციალისტის ხელფასი მერყეობს 1.3 ლარიდან 2.5 ლარამდე, ხოლო მედდის - 0.7 ლარიდან 0.9 ლარამდე⁷. ასევე, ბავშვთა ასაკის კომპლექსური შემოწმების ტარიფის კალკულაციაში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ხარჯები 8 ლარის ოდენობით⁸, საიდანაც დირექტორის ხელფასი ერთ ბენეფიციარზე, ფაქტობრივად, 6 წლის ასაკის ზემოთ სასკოლო ასაკის ბავშვის სამედიცინო გამოკვლევის შეამთხვევაში, შეადგენს 4 ლარს, ხოლო სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსებში წარსადგენად იგივე სახის გამოკვლევის შემთხვევაში - 3 ლარს, თუმცა ეს სათანადო წერილობითი დოკუმენტით/ ბრძანებით არ არის დადგენილი. გარდა ზემოაღნიშნულისა, სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად ექიმ-სპეციალისტის ტარიფის კალკულაციაში გათვალისწინებულია დაწესებულების ხელმძღვანელის ხელფასი და საშვებულებო თანხა 3.25 ლარის ოდენობით⁹.

შიდა სამედიცინო საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან დირექტორისთვის დარიცხული ხელფასი წარმოადგენს კომპანიის მიერ მიღებული მთლიანი შემოსავლების, გარდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფედერალური პროგრამების განხორციელებითა და სადაზღვევო კომპანიებისაგან

⁷ ბრძანება N49ა, 01/08/2011 წ.

⁸ ბრძანება N49ა, 01/08/2011 წ.

⁹ ბრძანება N58ა, 01/09/2011 წ.



მიღებული სახსრებისა, 1.8%-ს¹⁰, თუმცა შესაბამისი ბრძანებით¹¹ დირექტორის ხელფასი შეადგენს შიდა სამედიცინო სამიანობიდან მიღებული შემოსავლების 0.018%-ს. კომპანიის უფლებამოსილი პირების განმარტებით, მომხდარია პროცენტისა და კოეფიციენტის გაიგივების შემთხვევა, რაც ვლინდება აღნიშნული წესით დარიცხული სხვა დასაქმებული პირების ხელფასის შემთხვევაშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია პოლიკლინიკის შიდა სამედიცინო საქმიანობას არ წარმოადგენს უძრავი ქონების იჯარით გაცემა, თუმცა საიჯარო ქირის გადახდით მიღებული შემოსავლები გათვალისწინებულია ხელფასის დარიცხვის დროს. ასევე, როგორც ზემოთ აღინიშნა, სოციალური სამედიცინო ექსპერტიზისა და საექიმო-საკონსულტაციო კომისიის საქმიანობის კალკულაციაში გათვალისწინებულია დირექტორის ხელფასი, თუმცა ამ პროცედურების განხორციელებით მიღებული ჯამური შემოსავლებიდან დამატებით ხდება დირექტორისათვის ხელფასის დარიცხვა 1.8%-ის ოდენობით. მაგ. დასასაქმებელთა და დასაქმებულთა სამედიცინო შემოწმების ტარიფის კალკულაციაში დირექტორის ხელფასი ერთ ბენეფიციარზე შეადგენს 3.2 ლარს. გარდა ამისა, აღნიშნულ თანხას ემატება პროცედურის მთლიანი ღირებულების (25 ლარი) 1.8%. შესაბამისად, დასასაქმებელთა და დასაქმებულთა სამედიცინო შემოწმების ტარიფში დირექტორის ხელფასი შეადგენს 3.65 ლარს.

პოლიკლინიკის დირექტორის მხრიდან ფიქსირდება საანგარიშო თვეში საშვებულებო ანაზღაურებისა და ხელფასის ერთდროულად მიღების შემთხვევა. წარმოდგენილი მასალებით, დირექტორი შვებულებაში გავიდა 2012 წლის 1 ივნისს¹². გაცემულმა საშვებულებო ანაზღაურებამ შეადგინა 3 116 ლარი. არსებული დოკუმენტაციით ვერ დგინდება, თუ რა მონაცემების გათვალისწინებით განხორციელდა საშვებულებო თანხის გაანგარიშება. ამასთან, შვებულებაში გასვლის პარტნიორთა შეთანხმება დოკუმენტურად არ დასტურდება¹³. 2012 წლის 4 ივნისს¹⁴ განხორციელდა შვებულებიდან გამოძახება და გამოძახების თარიღიდან ხელფასის მოქმედი წესით დარიცხვა. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის, შვებულების გამოუყენებელი ნაწილის საშვებულებო ანაზღაურების¹⁵ უკან დაბრუნება არ განხორციელებულა.

¹⁰ 2012 წლის 01 იანვარიდან 2012 წლის 30 სექტემბრამდე პოლიკლინიკის ამ სახის შემოსავლებმა შეადგინა 251 680 ლარი

¹¹ ბრძანება N13ა, 02/03/2009 წ. ძალადაკარგულია 2012 წლის 29 სექტემბრიდან

¹² ბრძანება N01-14/27, 01/06/2012 წ.

¹³ დარღვეულია შპს „ბათუმის N1 პოლიკლინიკის“ წესდების მე-8 მუხლის მე-9 პუნქტი

¹⁴ ბრძანება N01-14/27, 01/06/2012 წ.

¹⁵ 2985.55 ლარი (3 116.4ლარი /24დღე *23 დღე)



მოქმედი მარეგულირებელი ნორმებით, დირექტორისთვის ხელფასის განსაზღვრა წარმოადგენს პარტნიორის უფლებამოსილებას. გარდა პარტნიორის მიერ დანიშნული ხელფასის ოდენობისა, დანარჩენი თანხის დარიცხვა და გაცემა განხორციელებულია პარტნიორთან შეთანხმების გარეშე, რითაც დარღვეულია შპს „ბათუმის N1 პოლიკლინიკის“ წესდების მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი და სასამსახურო ხელშეკრულების¹⁶ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი. პარტნიორთან შეთანხმების გარეშე გადახდილი ხელფასის კომპანიისათვის დაბრუნების საკითხი ექვემდებარება პარტნიორის მხრიდან გადაწყვეტილების მიღებას.

სახელმწიფო შესყიდვები

პოლიკლინიკის ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების¹⁷ სახელმწიფო შესყიდვის¹⁸ წლიურმა ღირებულებამ შეადგინა 52 830 ლარი მაშინ, როდესაც პოლიკლინიკის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრული იყო 7000 ლარი¹⁹. სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის ფორმით²⁰.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ რიგ ხელშეკრულებებში²¹ ვლინდება კლასიფიკატორის კოდის მიუთითებლობის შემთხვევები²². ადგილი აქვს²³ ასევე

¹⁶ სასამსახურო ხელშეკრულება 20/07/2011 წ.

¹⁷ CPV85100000

¹⁸ ხელშეკრულება N19, 03/01/2012 წ., ხელშეკრულება 05/01/2012 წ., ხელშეკრულება 01/06/2012 წ., ხელშეკრულება 01/07/2012 წ.

¹⁹ დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი

²⁰ დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტები

²¹ ხელშეკრულება N001, 03/01/2012 წ., ხელშეკრულება N2ა, 03/01/2012 წ., ხელშეკრულება N8, 03/01/2012 წ., ხელშეკრულება N10, 16/02/2012 წ., ხელშეკრულება N19, 03/04/2012 წ., ხელშეკრულება N04-05, 07/05/2012 წ., ხელშეკრულება 15/05/2012 წ., ხელშეკრულება N59, 13/06/2012 წ., ხელშეკრულება N20, 01/07/2012 წ., ხელშეკრულება N25/07/12, 25/07/2012 წ., ხელშეკრულება N25, 05/10/2012 წ., ხელშეკრულება N26, 05/12/2012 წ.

²² დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

²³ CPV22800000, CPV33600000



შესყიდვის საშუალებებისთვის დადგენილი მონეტარული ზღვრების გაუთვალისწინებლობის შემთხვევებს²⁴.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის წერილობითი დადასტურება არ ხდება²⁵. აგრეთვე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების ნუმერაცია, რიგ შემთხვევებში, წინააღმდეგობაშია ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღთან, რაც ქმნის მისი დროში ავთენტურობის რისკს.

იჯარით სარგებლობაში გაცემა

პოლიკლინიკის მიერ, 2012 წლის განმავლობაში, იჯარით დროებით სარგებლობაში გაცემული იქნა კომპანიის საკუთრებაში არსებული 7 ერთეული არასაცხოვრებელი ფართი. მათ შორის, 6 ერთეული არასაცხოვრებელი ფართი იჯარით გაცემული იყო მთელი წლის განმავლობაში, ხოლო ერთი - კონკრეტული ღონისძიებისთვის, ერთი დღით. იჯარით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 28 600 ლარი. საიჯარო ქირის საბაზრო ფასებთან რეალობა რისკის შემცველია, რადგან ქონების იჯარით გაცემა განხორციელებულია აუქციონის გარეშე, პირდაპირი განკარგვის წესით, აგრეთვე პარტნიორთან შეთანხმების გარეშე, რითაც დარღვეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის N40 ბრძანებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის“ მე-4 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები. სრული ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

N	მოიჯარე	არასაცხოვრებელი ფართის იჯარით სარგებლობაში გაცემის პერიოდი	ფართობი (კვ. მ)	საიჯარო ქირა თვეში (ლარი)	საიჯარო ქირა სულ (ლარი)	საკასო შემოსავალი (ლარი)	შენიშვნა
1	ი/მ "როლანდ აბაშიძე"	01/01/2012 წ. - 31/07/2012 წ.	35	450	3150	3150	
2	ი/მ "როლანდ აბაშიძე"	01/08/2012 წ. - 31/12/2012 წ.	35	500	2500	2500	
3	ი/მ "ზეინაზ ვარშალომიძე"	01/01/2012 წ. - 31/12/2012 წ.	10.2	400	4800	4800	
4	ი/მ "გიული ხილაძე"	01/01/2012 წ. - 31/12/2012 წ.	25.8	400	4800	4800	

²⁴ დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტები

²⁵ დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი



5	ფ/პ "თამილა თებიძე"	01/01/2012 წ. - 31/12/2012 წ.	7.1	300	3600	3600	
6	ი/მ "გულიკო გოგიტიძე"	01/01/2012 წ. - 31/12/2012 წ.	13.8	400	4800	4800	
7	ი/მ "არჩილ ბოლქვაძე"	01/01/2012 წ. - 31/12/2012 წ.	27	400	4800	4800	
8	კომპანია "ეზოტ ლაბორატ ესეი -ს ფილიალი საქართველოში"	01/07/2012 წ.		150	150	150	ერთი დღით
ჯამი:					28600	28600	

იჯარით სარგებლობაში მიღება

პოლიკლინიკას იჯარის ფორმით სარგებლობაში აქვს ავტოსატრანსპორტო საშუალება „მიცუბიში“²⁶. იჯარის ხელშეკრულება²⁷ გაფორმებულია პოლიკლინიკას, წარმოდგენილი დირექტორის თენგიზ შერვაშიძის სახით და ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე - თენგიზ შერვაშიძეს შორის. აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს საკუთარ თავთან დადებულ გარიგებას, რომელიც განხორციელებულია პარტნიორის თანხმობის გარეშე. ხელშეკრულება მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე. წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1 500 ლარს (თვეში 125 ლარი).

ინვენტარიზაცია

2012 წელს არ არის განხორციელებული პოლიკლინიკის ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-13 და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

შემოსავლები

პოლიკლინიკის 2012 წლის სრული შემოსავლები შეადგენს 974 099.6 ლარს. მათ შორის, შიდა სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 262 951.3 ლარს, სახელმწიფო პროგრამული დაფინანსებით - 224 927.3 ლარს, სადაზღვევო კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული


²⁶ სახელმწიფო ნომერი TRH 007

²⁷ ხელშეკრულება 03/01/2012 წ.



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

შემოსავლები - 245 702.5 ლარს, სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან“ მიზნობრივი პროგრამის - „მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა“- ფარგლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებიდან მიღებული შემოსავლები - 129 425.7 ლარს, ხოლო შემოსავლები უძრავი ქონების იჯარით გაცემიდან - 28 600 ლარს. არასაოპერაციო შემოსავლები (ვაქცინები) შეადგენს 82 492.5 ლარს. შემოსავლების პროცენტული თანაფარდობა წარმოდგენილია დიაგრამის სახით:



ხარჯები

პოლიკლინიკის 2012 წლის მთლიანი ხარჯი შეადგენს 936 634 ლარს, პერიოდის მოგება - 37 466 ლარს. სრული ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

N	ხარჯის დასახელება	ხარჯის ოდენობა (ლარი)	წილი მთლიან ხარჯში (%)
1	ხელფასი	729,516.2	77.9
2	ძირითადი საშუალებების ცვეთა	15,302.1	1.6
3	მედიკამენტები და რეაქტივები	10,844.4	1.2
4	საწვავის ხარჯი	10,014.4	1.1
5	ძირითადი საშუალებების რემონტის დანახარჯები	515.0	0.1
6	ელექტრო ენერგიის ხარჯი	6,637.7	0.7
7	წყლისა და კანალიზაციის ხარჯი	2,416.0	0.3
8	სანიტარული დასუფთავების ხარჯი	1,200.0	0.1
9	სადეზინფექციო მომსახურება	600.0	0.1



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

10	საკანცელარიო და სამედიცინო ფორმები	14,829.3	1.6
11	სამეურნეო ხარჯები	1,344.9	0.1
12	ტელეფონის საბონენტო გადასახადი	360.0	0.0
13	ინტერნეტის ხარჯი	1,302.0	0.1
14	საფოსტო მომსახურება	362.6	0.0
15	პრინტერის/ქსეროქსის კარტრიჯების ხარჯი	1,143.0	0.1
16	კომპიუტერული ტექნიკის რემონტის ხარჯი	497.0	0.1
17	ქონების გადასახადი	62.7	0.0
18	მიწის გადასახადი	7.7	0.0
19	საურავები	899.5	0.1
20	ჯარიმები	100.0	0.0
21	ბანკის მომსახურება	395.2	0.0
22	სამივლინებო ხარჯი	545.0	0.1
23	საჯარო რეესტრის მომსახურება	246.0	0.0
24	სხვა სამედიცინო დაწესებულებების მომსახურება	53,085.0	5.7
25	ჟურნალ-გაზეთების ხარჯი	1,000.0	0.1
26	სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,121.0	0.1
27	ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარა	1,500.0	0.2
28	არასაოპერაციო ხარჯები (ვაქცინა)	80,788.4	8.6
ჯამი:		936,634	

პოლიკლინიკის 2012 წლის დასაბეგრი მოგება შეადგენს 30 645 ლარს, მოგების გადასახადი 4 597 ლარს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უშუალოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, ასევე სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.

ჰენრი სანიკიძე

/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

მიხეილ დიასამიძე

/აუდიტორ-ასისტენტი/

14 ნოემბერი 2014 წელი



ფინანსური ანგარიშგების ფორმები

შპს „ბათუმის N1 პოლიკლინიკის“ 2012 წლის ბალანსი

ს ა წ ა რ მ ო ს ბ ა ლ ა ნ ს ი	
2013 წლის იანვრის მდგომარეობით	
საფირმო სახელწოდება	შპს "ქ.ბათუმის №1 პოლიკლინიკა"
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
იურიდიული მისამართი	ქ. ბათუმი ტბ.აბუსერიძის 2
დარგი (საქმიანობის სახე)	სამედიცინო მომსახურება
ზომის ერთეული	ლარი



**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში**

აჭ ა რ ა რ ა				
აქტივი		ანგარიშის ნომერი	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე აქტივები				
ნაღდი ფული საღაროში		1110	760	2204,2
ფული საბანკო ანგარიშებზე		1210	13356,74	2806,97
ბლოკირებული ანგარიში ქვეანგარიში ტენდერისათვის .		1215		3977,51
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		1410	98668,25	161478,68
საეჭვო მოთხოვნების კორექტირება		1415	50708	50572
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოების მიმართ		1420	2170,93	412,31
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		1430		*
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ		1435		
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე		1460		
გადახდილი დღგ		3340		
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები		1480		
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (საბიუჯეტო ... და სხვა)		1490	1620	558,38
სულ მიმდინარე აქტივები			167283,92	222010,05
სასაქონლო მატერიალური მარაგი				
საქონელი		1610	3861,52	3266,80
ნედლეული და მასალები		1620	2892,76	4596,80
დაუმთავრებელი წარმოება შუალედური ანგარიში		1630		
მზა პროდუქცია		1640		
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი		1690	369,09	13674,09
წინასწარ გაწეული ხარჯები		1700		-2270
სხვა მიმდინარე აქტივები (წაყენებული პრეტენზიები და სხვა)		1900	13305,00	
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი			20428,37	21537,69
გრძელვადიანი აქტივები				
მიწის ნაკვეთები		2110	65702,00	65702,00
დაუმთავრებელი მშენებლობა		2120		
შენობა-ნაგებობები		2130	50016,55	47515,72
მრავალწლიანი ნარგავები, მიმოსვლის გზები		2145		
მანქანა-დანადგარები		2150		
ოფისის აღჭურვილობა		2160	19920,74	17171,88
სხვა ძირითადი საშუალებები		2170	41430,00	33143,87
სატრანსპორტო საშუალებები		2180	717,44	573,95
გრძელვადიანი მოთხოვნები		2300		
გადავადებული საგადასახადო აქტივები		2340		
გრძელვადიანი ინვესტიციები		2400		
არამატერიალური აქტივები		2500	525,00	446,25
სულ გრძელვადიანი აქტივები			178311,73	164553,67
სულ აქტივები			366024,02	408101,41



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

პასივი	ანგარიშის ნომერი	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე ვალდებულებები			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3110	37349,28	83100,14
მიღებული ავანსები	3120		
გადასახდელი ხელფასები	3130	34770,35	23904,70
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	3160		
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე	3170		
მოკლევადიანი სესხები	3210		
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	3230		
გადასახდელი მოგების გადასახადი	3310		
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3320	10715,99	3771,51
გადასახდელი დღგ	3330		
სოციალური გადასახადი	3370		
ქონების გადასახადი	3380		
მიწის გადასახადი	3381		
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	3390	102,00	103,16
გადასახდელი პროცენტები	3410		
გადასახდელი დივიდენდები	3420		18027,00
სხვა დარიცხული ვალდებულებები	3490		
სულ მიმდინარე ვალდებულებები		82937,62	128906,51
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4100		
გადავადებული მოგების გადასახადი	4210		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4220		
ანარიცხები	4300		
გადავადებული შემოსავალი	4410		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	5100	188364,00	188364,00
სარეზერვო კაპიტალი (რეზერვები)	5410		
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	5420		
სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება	5490		
გაუნაწილებელი მოგება	5310	72667,90	53364,90
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი 2013 წელი	5330	22054,50	37466,00
დაუფარავი ზარალი	5320		
სულ საკუთარი კაპიტალი		283086,40	279194,90
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		366024,02	408101,41

საწარმოს ხელმძღვანელი

თ. შერვაშიძე

მთავარი ბუღალტერი

რ. თურმანიძე

* აღნიშნული სტრუქტურის მონაცემები ბალანსის პასივის პირველი განყოფილის ჯამს აკლდება